პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

7 აპრილი,, ხუთშაბათი, 1988 წ.
№ 68 (9735) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა



თბილისის ს. კიროვის სახელობის პარკის სპორტულ დარბაზში დამთავრდა საქართველოს ღია ჩემპიონატი მხატვრულ ტანვარჯიშში (მრავალჭიდი). ასპარეზობაზე მონაწილეობდნენ თბილისის (2), რუსთავის, აჭარის, აფხაზეთის, აგრეთვე რუსეთის ფედერაციისა და უკრაინის გუნდები.

აბსოლუტური ჩემპიონის წოდება ზედიზედ მესამედ მოიპოვა სპორტის ოსტატმა თინათინ ნადირაშვილმა, მეორე იყო ელისო ბედოშვილი, მესამე — ინგა ჩხაიძე.

ს უ რ ა თ ზ ე: თინათინ ნადირაშვილი.

(ანგარიშს შეჯიბრების შესახებ უახლოეს ნომერში შემოგთავაზებთ).



## გიგანტური სლალომის და...

**ბუდაურში** სამთო-მოთხილამურეთა შეჯიბრების მომდევნო დღეს უძლიერესი საბჭოთა ოსტატები სუპერგიგანტში (ტრასის სიგრძე 2265 მეტრი, სიმაღლეთა სხვაობა 500 მ, 40 კარი) ასპარეზობდნენ.

კვლავ გამოიჩინა თავი კამჩატკელმა სერგეი პეტრიკმა — 1.34,54. მეორე და მესამე ადგილებზე გავიდნენ კონსტანტინ ჩისტიაკოვი (1.35,40) და იგორ კობილკინი (1.36,49).

უკვე შევეჩვიეთ იმ აზრს, რომ ქართველი მოთხილამურენი საკავშირო თუ საერთაშორისო ასპარეზობებში, როგორც წესი, უკანასკნელ ადგილებზე გადიან. ასე იყო ამჯერადაც. გარდა გია ორჯონიკიძისა (34-ე შედეგი, 1.39,40), ჩვენს სპორტსმენთაგან (ალბათ, აქ არც მათი ვინაობისა და არც მათი ტექნიკური შედეგების ჩამოთვლა არა ღირს) ვერც ერთი ვერ შევიდა... პირველ ორმოცდაათეულშიც კი!

ქალთა ასპარეზობაში რამდენადმე უკეთ გამოვედით: ეკა ედიშერაშვილი 33-ე იყო — 1.56,11, ხოლო თამარ მიქელაძე — 34-ე — 1.57.74. გამარჯვება კი ლენინგრადელმა ირინა ორლოვამ მოიპოვა — 1.43,83. მომდევნო საპრიზო ადგილებზე არიან ნატალია დუგა (1.44,30) და ნატალია ბელოსლუდცევა (1.44,61).

ახლა ჩასატარებელი დარჩა გიგანტური სლალომი.

**ალექსანდრე კანდელაკი.**
„ლელოს" კორ. (ტელეფონით).
ბუდაური.



## ინგა გილაურის წარმატება

**ჩვენ** უკვე ვიუწყებოდით მოციგურავე ინგა გილაურის წარმატებაზე 500-მეტრიან მანძილზე, რომელიც მან ქვეყნის ჩემპიონატზე მოიპოვა ალმა-ათაში.

და აი, „მედეოს" ამ მაღალმთიან ხელოვნურ საციგურაოზე დამთავრდა ორდღიანი საინტერესო შეჯიბრება, რომელიც ძლიერ ქარსა და ნამქერში ჩატარდა.

ქართველ მოციგურავეს, ა. პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტს, 23 წლის სპორტის ოსტატს, დინამოელ ინგა გილაურს მრავალჭიდის ჯამში 179,671 ქულა დაუგროვდა და პირველად ქართული სპორტის ისტორიაში მეტად საპატიო მეორე ადგილი მოიპოვა. თბილისელმა სპორტსმენმა წინ მხოლოდ ქვეყნის ამჟამინდელი ჩემპიონი, ომსკელი ელენა ლაპუგა გაუშვა (178,419 ქულა), სამაგიეროდ დამაჯერებლად მოიტოვა სსრ კავშირის ნაკრების წევრები, კალგარის თეთრი ოლიმპიადის მონაწილენი — სვეტლანა ბოიკო (მოსკოვი), ელენა ტუმანოვა (გორკი) და სხვა.

როგორც ხედავთ, ინგა გილაურმა, რომელიც, კალგარის ოლიმპიადაზე ქვეყნის ნაკრების კანდიდატი გახლდათ, საუკეთესოდ დაამთავრა სეზონი.

„ლელოს" კორ.

### თვის მონაგარი

## სპორტსმენებმაც, გულშემატკივრებმაც...

**გაზაფხულის** პირველ თვეს ჩვენი სპორტსმენების წარმატებები უფრო სხვადასხვა საერთაშორისო ტურნირებთანაა დაკავშირებული. ამ შეჯიბრებებში წარმატება-წარუმატებლობას სპეციალისტები თუ ჟურნალისტები სეულის ოლიმპიური თამაშების მზადების პრიზმაში განიხილავენ.

დიახ, მარტის სპორტული კალენდარი საერთაშორისო ტურნირებით გამოირჩეოდა და არა ოფიციალური ევროპისა თუ მსოფლიო ჩემპიონატების, ან თასების გათამაშებათა სიმრავლით.

**ამ იშვიათ სპორტსმენთა შორის, რომლებიც ერთ-ერთ ასეთ ოფიციალურ ასპარეზობაში — მსოფლიო თასის გათამაშებაში — მონაწილეობდნენ, თავისუფალი სტილის მოჭიდავეებიც იყვნენ. საქართველოს სპორტის მოყვარულთა ყველაზე დიდი სიხარული დაუკავშირდა სწორედ ამ შეჯიბრებას, რომელიც აშშ-ის ქალაქ ტოლიდოში ჩატარდა. თბილისელმა დავით გობეჯიშვილმა (130 კგ) მსოფლიო თასთან ერთად პირად პირველობაში ოქროს მედალიც დაისაკუთრა.**

**გობეჯიშვილის ასეთი წარმატება ერთი-ორად სასიხარულოა, რადგან მან ფინალში დაამარცხა თავისი ყველაზე საშიში კონკურენტი, ამერიკელი ბრიუს ბაუმგარტნერი. მსოფლიო თასის ბედიც სწორედ ამ გამარჯვებამ გადაწყვიტა.**

იხ. მე-3 გვ.

## დაჯილდოება

ფიზიკური კულტურისა და სპორტის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მოღვაწეობისა და დაბადების 50 წელთან დაკავშირებით საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე **ჯანსუღ ირაკლის ძე ბაგრატიონი** დაჯილდოვდა **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

### ელვა-ინფორმაცია

**ნამანგანში გაიმართა პროფკავშირების ჭაბუკ ველოსიპედისტთა საკავშირო პირველობა, რომელშიც მონაწილეობდნენ 1973-1974 წლებში დაბადებული სპორტსმენები. შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღო 16-მა გუნდმა.**

**პირად ჩათვლაში ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა ორი გამარჯვება მოიპოვეს. ოლგა საპრიკინამ 500 მეტრზე ადგილიდან რბოლაში 41,0 წამი აჩვენა, მირიან დოლიძემ კი 1000 მეტრი ადგილიდან 1 წუთსა და 12,28-ში დაფარა.**

8 აპრილს, 11 საათზე, თბილისის სპორტის სასახლესთან არსებული ქართული სპორტის დიდების მუზეუმში ჩატარდება გარდაცვლილ სპორტსმენთა ხსოვნის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება.

## „უბირთვო" მსოფლიოსათვის

„ორი დღის განმავლობაში შიმშილისაგან კვდება იმდენი ადამიანი, რამდენიც ჰიროსიმაში ატომური ბომბის აფეთქებამ იმსხვერპლა".

ეს სიტყვები ამოღებულია საზოგადოების — „მსოფლიოს ექიმები ბირთვული ომის წინააღმდეგ" — ანკეტიდან „ჩვენი პლანეტა 1988 წელს". როგორც სახელწოდებიდან ჩანს, ამერიკელი და საბჭოთა ექიმების მიერ შექმნილი ეს საზოგადოება სწორედ ბირთვული შეიარაღების, ბირთვული ომის წინააღმდეგ საბრძოლველად არის მოწოდებული.

ამ დღეებში ამერიკელი კოლეგები საპასუხო ვიზიტით ეწვივნენ საბჭოთა კავშირს. ეს იყო ექიმთა ახალგაზრდული ჯგუფი დევიდ და გეილ კრიგერების, ემილ დონაჰიუს და რიკ დონაჰიუს შემადგენლობით. სტუმრები ექიმ-ალპინისტ ვიაჩესლავ ონიშჩენკოსთან (მიხეილ ხერგიანის თანამეწყვილე იყო დოლომიტის ალპებში) და საბჭოთა კოლეგებთან ერთად ავიდნენ კავკასიონის მწვერვალებზე, დალაშქრეს იალბუზი და ბეჩოს გადასასვლელი.

ამ დღეებში კი სტუმარი-მთამსვლელები ეწვივნენ საქართველოს ალპიურ კლუბს, დაათვალიერეს კლუბის მუზეუმის ექსპონატები, ჩანაწერები დატოვეს შთაბეჭდილებათა წიგნში.



**ს უ რ ა თ ზ ე: აშშ—სსრ კავშირის ექსპედიციის „კავკასიონი-88"-ის მონაწილენი იალბუზზე.**

## გუშინ...

**სიმფეროპოლში შედგა ოლიმპიური თამაშების საფეხბურთო ტურნირის შესარჩევი მატჩი სსრ კავშირისა და თურქეთის გუნდებს შორის.**

**საინტერესო თამაში დამთავრდა სსრ კავშირის ნაკრების გამარჯვებით — 2:0. ჩვენს გუნდში გამოდიოდა თბილისის დინამოელი გ. კეტაშვილი.**

### დინამოელთა ამხანაგური მატჩი

თბილისის „დინამოს" ფეხბურთელებმა გუშინ ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონზე ამხანაგური საერთაშორისო მატჩი გამართეს შვეციის ქ. შიფტინგეს აიკ-თან.

**მატჩი** დამთავრდა დინამოელთა გამარჯვებით — 14:0.

თბილისელებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშეს: გაბელია (ჭანტურია), ცვეიბა, თევზაძე, ჰედია, არზიანი, ტყებუჩავა, სვანაძე (ფირცხალავა), სულაქველიძე, გ. ჯიშკარიანი (ფანცულაია), გურული, შენგელია (ქეცბაია).

## გზა გადავუღობოთ პროტექციონიზმს!

სპორტში პროტექციონიზმი ძირს უთხრის ყველაზე მთავარსა და მნიშვნელოვანს ამ სფეროში: სიწმინდესა და ჯანსაღ კონკურენციას, უდიდეს ზიანს აყენებს ახალგაზრდობის ფსიქიკას.

როგორც ცნობილია, ამას წინათ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება პროტექციონიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ. შემდეგ კი საქართველოს სპორტსახკომმაც მიიღო შესაბამისი დადგენილება, რომლის მიზანიც სპორტიდან პროტექციონიზმის აღმოფხვრაა.

გუშინ სწორედ ეს საკითხი იყო ყურადღების ცენტრში საქართველოს მოჭიდავეთა ნაკრები გუნდების შეკრებაზე, რომელიც თბილისის ფალავანთა კლუბში ჩატარდა. კრებაზე სიტყვით გამოვიდნენ ავტორიტეტული სპეციალისტები. მათი აზრი და წინადადებები ობიექტური და საქმიანი იყო. გადაჭრით ითქვა პროტექციის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების საჭიროებაზე. სიტყვებით გამოვიდნენ: ვეტერან სპორტსმენთა საბჭოს თავმჯდომარე ოთარ დიდებულიძე, ჭიდაობის სამმართველოს უფროსი ომზარ შოშიტაშვილი, ნაკრები გუნდების უფროსი მწვრთნელები მიხეილ სალაძე, ნუგზარ ხუციშვილი და სხვები.

გზა გადავუღობოთ პროტექციონიზმს! — ასეთი იყო საერთო გადაწყვეტილება.

**მანანა სოხელია.**

### წელიწადი - ქრონიკა

**ბენტი (ბელგია).** გაიმართა კალათბურთელ ვაჟთა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის ნახევარფინალური მატჩები. მილანის „ტრეისერმა" — პრიზის ახლანდელმა მფლობელმა, დაამარცხა სალონიკის „არისი" 87:82. მეორე ნახევარფინალური წყვილის — ტელ-ავივის „მაკაბისა" და ბელგრადის „პარტიზანის" ორთაბრძოლაც (გაიმარჯვა „მაკაბიმ") ასეთივე ანგარიშით დამთავრდა. გადამწყვეტი შეხვედრაც, ისევე როგორც მატჩი მესამე ადგილისათვის, გაიმართება გენტში.

**მონტრე (შვეიცარია).** აქ დამთავრდა „ეროვნებათა თასის" გათამაშება ფრენბურთში ქალთა შორის. ფინალში კუბის ნაკრებმა დაამარცხა ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიოს ჩემპიონი, ჩინეთის ეროვნული გუნდი — 3:2.

**ლონდონი.** აპრილის ბოლოს ქალაქ კარდიფში გაიმართება ძალოსანთა ევროპის ჩემპიონატი. მასში მონაწილეობას მიიღებს 27 ქვეყანა.

**პარიზი.** დაიწყო ველოსიპედისტთა მრავალდღიანი ველორბოლა — „არდენის ტური", პირველი ეტაპი — გუნდური რბოლა (34,8 კმ) საბჭოთა ველოსიპედისტებმა მოიგეს — 44.16.

# ყოფნა — არყოფნა...



**ᲗᲣᲛᲪᲐ** სპორტის ის სახეობა, რომელსაც 13 ქალიშვილი მისდევს, ოფიციალურად არის აღიარებული ქალთა სპორტად, არ არსებობს არც ერთი მწვრთნელი ქალი, ანდა რაიმე თუნდაც უმნიშვნელო თანამდებობის ხელმძღვანელი ქალი იმათი რიცხვიდან, ვისაც ძალუძს ქალიშვილების ტანჯვა-წვალებაშიც გაერკვეს და დაეხმაროს კიდევაც მათ. სწორედ ამიტომ სასწრაფოდ არის საჭირო მამაკაცი! რას იზამ, ქალთა წყალბურთის წინაშე დღეს სწორედ ჰამლეტისეული კითხვა დგას — კითხვა გუნდის ყოფნა-არყოფნისა, ხოლო ამ გუნდის 13 სპორტსმენი ქალიშვილი (საქმეს ისეთი პირი უჩანს, ეს ქალიშვილები შეიძლება სულაც საქართველოს უკანასკნელი წყალბურთელი ქალები აღმოჩნდნენ) ისეთ მდგომარეობაშია, რომ რაღაც განსაკუთრებული მოთხოვნების წაყენებაზე ისინი არც კი ფიქრობენ.

დიახ, ქალთა წყალბურთის განვითარების პერსპექტივა საქართველოში არამც და არამც არ არის სახარბიელო. მას შემდეგ, რაც 1982 წელს ფინა-მ ცნო იგი სპორტის დამოუკიდებელ სახეობად, რაც 1985 წელს ოსლოში ჩატარდა ევროპის პირველი ჩემპიონატი, ხოლო 1986 წელს მადრიდში — მსოფლიო ჩემპიონატი, მას შემდეგ, როცა გაზეთებში ყველა ენაზე დაისვა ქალთა წყალბურთის არსებობის სრულუფლებიანობის საკითხი და ერთხმად — ასევე ყველა ენაზე — დადებითად გადაწყვიტეს იგი, ჩვენ მოულოდნელად აღმოვაჩინეთ, რომ საქართველოში სპორტის ეს სახეობა ვერ მკვიდრდება. თითქოს ჩვენ არა გვყავდეს ტანმაღალი, გრძელხელება ძლიერი ქალიშვილები, ისეთები, როგორებიც ჰოლანდიაში, უნგრეთში ანდა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში არიან. თითქოს ჩვენ არ გვაღელვებდეს პრობლემა — რა ვუყოთ ცურვის 18 წლის „ვეტერანებს“, თითქოს სპორტის ამა თუ იმ სახეობის განვითარებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდეს იმას, „ოლიმპიური“ სახეობაა ის, თუ არა.

ქალთა წყალბურთი ჯერჯერობით მართლაც არ არის სპორტის ოლიმპიური სახეობა, თანაც არც ტრადიციულია საქართველოსთვის. მაგრამ განა არ ვიცოდით ეს, როცა ოთხი წლის წინათ პირველ გუნდს ვქმნიდით? უნდა ვიფიქროთ, რომ როცა ჩვენს რესპუბლიკაში სპორტის ამ სახეობის განვითარებასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებას იღებდნენ, აწონ-დაწონეს ყველა „მომხრე“ და „მოწინააღმდეგე“ მოსაზრება, რომ ლაპარაკი იყო მის მომავალ პოპულარობაზე, სანახაობრიობასა და მასობრიობაზე.

და მაინც დღეს, სამწუხაროდ, პრობლემის წინაშე აღმოვჩნდით. საქართველოს ქალთა წყალბურთის ნაკრები გუნდი (დიახ, გუნდის დასახელებათა გრძელ ნუსხაში ასეთიც არის) დღეს, რომ იტყვიან, სულს ლაფავს, ვიმეორებთ — გუნდის 13 წევრს დიდი შანსი აქვს გახდეს საქართველოს უკანასკნელი წყალბურთელი ქალი. დღეისათვის სპორტის ამ სახეობით გატაცებულთა რიცხვი ოდნავ თუ აღემატება 30-ს. ვცადოთ გავერკვეთ, რატომ შეიქმნა ამგვარი ვითარება.

ვნახოთ, რა გადახდათ საქართველოს წყალბურთელ ქალიშვილებს. გუნდი 1984 წლის დამლევს შეიქმნა. ლენინური კომკავშირის სახელობის ცენტრალური საწყლოსნო-სპორტული კომპლექსის დირექტორმა ვლადიმერ გოიაშვილმა შეკრიბა ახალგაზრდა, მაგრამ უკვე „ვეტერანი“ მოცურავე ქალიშვილები და შეუდგა მათ წვრთნას. დღეს გოგოები ამბობენ: „მაშინ ჩვენ არც კი გვესმოდა, რა ბედნიერები ვიყავით, რა საიმედო კედლის მიღმა ვცხოვრობდით. კვირაში ექვსჯერ ვვარჯიშობდით. წყალი გვქონდა!“

დიახ, ისინი მართლაც ბედნიერები იყვნენ მაშინ. როგორ შეიძლება იმ შეგრძნების ახსნა, როცა ბურთი ბოლოს და ბოლოს ხელზე „ჯდება?“ როცა ცხოვრებაში პირველი გოლი გაგაქვს? როცა წყალში მყოფ პარტნიორებს ისე ესმით ერთმანეთისა, როგორც არასდროს არ ესმოდათ ხმელეთზე და, როცა თითქოსდა ისეთი უბრალო რამ, როგორიც თამაშია, ასე აერთიანებს ადამიანებს? ეს მართლაც ბედნიერებაა.

მაგრამ ერთი წლის შემდეგ ბედნიერების ნასახიც კი აღარ დარჩენილა. საწყლოსნო-სპორტული კომპლექსი თვითანაზღაურებაზე გადავიდა. საჭირო გახდა ყოველი კაპიკის დათვლა. ხოლო წყალი ფული ღირს, მოგეხსენებათ. და განა შეეძლო დირექტორს თავისივე მეურნეობაში მუშაობის „პარტიზანული“ მეთოდისთვის მიემართა? ვისი ჯიბიდან უნდა ეხადა წყლის იჯარის ფული? სწორედ ამიტომ ვლადიმერ გოიაშვილმა დაიწყო გოგოებისათვის ახალი მწვრთნელისა და შესაფერისი ორგანიზაციის ძებნა, რომელსაც შეეძლებოდა უზრუნველეყო ნორმალური საწვრთნელი პროცესი. და აი, აქედან დაიწყო ყველაფერი. ერთპიროვნული პატრონი არ გამოჩნდა. არადა, 1986 წელს მოსკოვის საკავშირო ჩემპიონატში გუნდმა II ადგილი დაიკავა. გოგონები თანახმა იყვნენ ევარჯიშათ ნებისმიერ, მათთვის არახელსაყრელ დროსაც კი, ოღონდ კი წყალი ყოფილიყო. უფრო ხშირად შუაღამისას უწევდათ ვარჯიში, სწორედ იმ დროს, როცა მათ, სტუდენტებს, ლექციები ჰქონდათ. ამას კი დაუყოვნებლივ მოჰყვა ლექტორთა რეაქცია. ოთხ წელიწადში მწვრთნელი ექვსჯერ გამოიცვალეს. ზოგი გოგოებს არ მოსწონდათ, ზოგს თავად გოგოები არ მოსწონდა. სოლიდური ტურნირი, ისეთი, რომელზეც გამოცდილი მეტოქეებისგან სწავლაც შეიძლებოდა და თავის გამოჩენაც, ამ ხნის განმავლობაში სულ შვიდი ჩატარდა. საწვრთნელი შეკრება კი მხოლოდ ერთხელ მოეწყო. არც ერთ გოგონას ამ წლების მანძილზე არავითარი გასამრჯელო არ მიუღია. მოსკოვის ტურნირზე საქართველოს გუნდი რვა წევრით გაემგზავრა. თანაც, ეს მაშინ, როცა ჯერ მარტო განაცხადში 13 გვარი შეაქვთ. მეტი ფული არ გვაქვსო, — ასე განუცხადეს გუნდს. იცით, რას წარმოადგენს წყალბურთის გუნდი რვა მოთამაშის შემადგენლობით? ეს იმას ნიშნავს, რომ სათადარიგო მოთამაშეთა სკამზე ერთი სპორტსმენი ზის, რომ თამაშობენ ქანცის გაცლამდე, შესაძლებლობებისა და სიფრთხილის ზღვარზე, როცა ტრავმა ან შეცდომა დაუშვებელია!

ვლადიმერ გოიაშვილი კი შორიდან უწევდა გუნდს მფარველობას. ისეთ მწვრთნელებს ეძებდა, რომლებიც გაიგებდნენ და გაინაწილებდნენ გოგოების საზრუნავ-საწუხარს.

და აი, ახლა მე ვფიქრობ, იმის შედეგი ხომ არ არის-მეთქი ქალთა წყალბურთის ყველა პრობლემა, რომ სულით და გულით ერთი გულშემატკივრობს მის ბედ-იღბალს, გადაწყვეტით კი ამ ბედ-იღბალს სულ სხვა წყვეტს? რატომ ვერ ვეღირსეთ იმას, რომ საქართველოს წყალბურთელ ქალთა ერთადერთ გუნდს ჰყავდეს ერთი, მაგრამ უცვლელი „პატრონი“, ერთი, მაგრამ მუდმივმოქმედი „მოედანი“ და ერთი (ერთი მაინც!) მწვრთნელი, რომელიც ურთიერთპატივისცემის, ანდა ურთიერთსიყვარულის პირობებში შეძლებს მშვიდად წარმართოს სასწავლო-საწვრთნელი პროცესი?

ალბათ, საუკეთესო არჩევანი ვლადიმერ გოიაშვილმა შარშან გააკეთა. 1987 წლის თებერვალში მან გუნდთან სამუშაოდ დაითანხმა ცნობილი სპეციალისტი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ზურაბ ჩაჩავა და თბილისის „დინამოს“ ასევე ყოფილი მოთამაშე, ოღონდ ამჯერად უკვე 80-იანი წლების პლეადის წარმომადგენელი, სპორტის ოსტატი გიორგი დოლიძე. რატომ მაინცდამაინც ისინი? აი, როგორ ხსნის თავის არჩევანს ვლადიმერ გოიაშვილი: ქალებთან მუშაობა მამაკაცებისგან „ზეთვისებებს“ მოითხოვს. ქალიშვილები მწვრთნელისგან მაღალი პროფესიული თვისებების გარდა უზადო მორალურ ღირსებებსაც მოითხოვენ — ტაქტს, გულისხმიერებას, ლმობიერებას, სიკეთეს. სამწუხაროდ, ყველა მწვრთნელს როდი შეუძლია დააკმაყოფილოს ეს მოთხოვნა.

ახალი მწვრთნელების კულტურა და, ჩემი აზრით, სადღეისოდ ძალზე იშვიათი თვისება — ინტელიგენტობა — გოგოებმა უმალ შეაფასეს. ნატაშა აზატიანმა და ტანია ჩერნიშოვამ მიამბეს, რომ ახალი მწვრთნელების მისვლით გუნდში ბევრი რამ შეიცვალა. პატივისცემა რომ ვიგრძენით, თვითონაც უფრო გულისხმიერები გავხდით ერთმანეთის მიმართ. უუფლებოებს, გაურკვეველ მდგომარეობას შეჩვეულთ, რომლებსაც არამცთუ საკუთარი მუდმივი ბაზა, არამედ საკუთარი სახელიც კი არა ჰქონდათ — ხან ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტკლუბი ერქვათ და ხან „ბურევესტნიკი“, ახლა თბილისის „ივერიის“ წევრებს უკვირდათ მათდამი გამოჩენილი პატივისცემაც კი. წვრთნამ რეგულარული ხასიათი მიიღო. ოთხი წლის განმავლობაში პირველად ჩატარდა ოცდღიანი შეკრება — ათი დღე ბათუმში და ამდენივე სოხუმში. თბილისში გამართულ პირველ საკავშირო ტურნირში მეორე ადგილი დაიკავეს. პროფკავშირების საკავშირო პირველობის პირველ ტურში (უმაღლესი ლიგა) ოთხეულში მოხვდნენ, ამასთან დაამარცხეს ალმა-ათისა და ზლატოუსტის ძლიერი გუნდები, ფრედ ითამაშეს მოსკოვის ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტებთან და მხოლოდ ერთ, მოსკოვის უნივერსიტეტის უძლიერეს გუნდთან დამარცხდნენ.

რა დაუჯდათ მათ მწვრთნელებს ეს გამარჯვებები? ზურაბ ჩაჩავა, სოლიდური, პატივცემული ადამიანი, ინჟინერი, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი, რომელმაც ქალთა წყალბურთს მხოლოდ სპორტის უსაზღვრო სიყვარულის გამო მოჰკიდა ხელი, ძალზე ხშირად საწვრთნელი მუშაობით კი არა, რაღაც ბანალური, სპორტისაგან შორს მდგარი საკითხებით იყო დაკავებული. რატომ უნდა ზრუნავდეს მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტი წყალზე [illegible], ქუდებზე? როცა ბურთი ვერსად იშოვეს, ბატონმა ზურაბმა შინიდან თავისი, მეგობრების სამახსოვრო წარწერებიანი ბურთი მოიტანა. განა განებივრებულები ვართ ყოფილი ჩემპიონების ყურადღებით სპორტისადმი, რომ უფლება მივცეთ საკუთარ თავს, ასე უდიერად მოვეკიდოთ ამ გულისხმიერებას?

გაიარა დრომ და სპორტსაზოგადოებათა სტრუქტურაში მოხდა ცვლილებები, და არავინ იცის, ვინ გადაუხდის ხელფასს მწვრთნელებს. პროფკავშირთა საკავშირო ნებაყოფლობით ფიზკულტურულ-სპორტულ საზოგადოებაში, რომელიც ახლახან ქალთა წყალბურთის გუნდის ერთ-ერთი პატრონი გახდა, განაცხადეს, რომ შეუძლიათ მხოლოდ ერთ მწვრთნელს უხადონ ხელფასი. ზურაბ ჩაჩავა და გიორგი დოლიძე, როგორც თავაზიანი ადამიანები, ერთმანეთს „უშვებდნენ წინ“, ამას კი ის მოჰყვა, რომ ორივე უხელფასოდ დარჩა.

შარშანდელი ზაფხულიდან მოყოლებული, მწვრთნელებს კაპიკი არ მიუღიათ, მუშაობით კი თითქმის დღევანდლამდე მუშაობდნენ. 4-დან 8 მარტამდე გუნდი მოსკოვის ტურზე უნდა გამგზავრებულიყო. ამისათვის სასწრაფოდ დაინიშნა მწვრთნელი, ფიზკულტურის ინსტიტუტის შტატიანი თანამშრომელი ვაჟა ჩერტკოევი, რომელსაც ადრეც უმუშავია გუნდთან. სხვა თუ არაფერი, მწვრთნელის ხელფასის პრობლემა მაინც გადაწყდა.

საქართველოში ქალთა წყალბურთის განვითარების რა პერსპექტივებზე შეიძლება ლაპარაკი, როცა რესპუბლიკის ერთი, წამყვანი გუნდისთვისაც კი ვერ შეუქმნიათ ნორმალური პირობები? ფიზკულტურის ინსტიტუტში წყალბურთის სპეციალობაზე წელს პირველად მიიღეს ორი გოგონა. ძალიან კარგია, რომ ჩვენი მწვრთნელი ქალები გვეყოლება, მაგრამ ვინ უნდა წვრთნან მათ?

ცოტა რამით თუ განსხვავდება რესპუბლიკაში მეორე, მოზარდ გოგონათა გუნდის მდგომარეობა. ამ გუნდს თბილისის განათლების სამმართველოს სკოლაში მალხაზ კაპანაძე ავარჯიშებს.

ჰოდა, ვარჯიშობს, როცა შეძლებს, ეს 13 ქალიშვილი... იქნებ მართლაც ავდგეთ და საერთოდ გავაუქმოთ ეს სახეობა? აღარც საფიქრალი გვექნება და აღარც საზრუნავი. იქნებ გავცეთ ჰამლეტისეულ კითხვას პასუხი: „არყოფნა!“ და პატივისცემის ნიშნად ქუდებიც მოვიხადოთ? მაგრამ სად არის ის ადამიანი, პასუხს რომ გასცემს? 13 ქალიშვილი დაეძებს მას და ვერა და ვერ უპოვია.

მე მეთოთხმეტე გახლავართ.

**ᲞᲔᲞᲘ ᲒᲝᲨᲝᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ.**

# სწრაფი მილიციის მუშაკები

**ᲡᲞᲝᲠᲢᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐ** „დინამოს“ შექმნის 65 წლისთავს და საკავშირო ლენინური კომკავშირის იუბილეს (70-ე წლისთავს) მიეძღვნა თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს ორგანოებისა და განყოფილებების თანამშრომელთა გასამხედროებული მძლეოსნური ამანათრბენი. სტარტზე 18 გუნდი გამოვიდა რესტორან „არაგვის“ წინ. 5-კილომეტრიანი დისტანცია სულ 7 ეტაპისაგან შედგებოდა, რომელთა სიგრძე 400-დან 800-მეტრამდე იყო.

პირველი ადგილისათვის ბრძოლა დაძაბული არ ყოფილა —. აშკარა უპირატესობით გაიმარჯვეს თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს სახანძრო განყოფილების მუშაკებმა (უფროსი, პოდპოლკოვნიკი კოხტა ხორგუაშვილი), რომლებმაც 5 კმ 15. 43,0 გაირბინეს. მათ წუთზე მეტი მოუგეს თბილისის წყალმომარაგების ნაგებობების დაცვის ქვეგანაყოფის გუნდს (მეთაური, პოლკოვნიკი ოთარ სუხიშვილი), რომელმაც აღნიშნული მანძილი 16.51,0 გაირბინა. მესამე ადგილზე გავიდნენ სახელმწიფო ნაგებობებისა და დაწესებულებების დაცვის ქვეგანაყოფის (მეთაური, პოლკოვნიკი ბორის ანდრონიკაშვილი) მუშაკები — 17.52,0.

გამარჯვებულებს პრიზები გადასცა თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსმა, პოდპოლკოვნიკმა რომან გვენცაძემ.

უნდა აღინიშნოს, რომ ასპარეზობა, რომლის ორგანიზატორები იყვნენ თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოსა და სპორტსაზოგადოება „დინამოს“ თანამშრომლები, მეტად ორგანიზებულად ჩატარდა, მიუხედავად იმისა, რომ ასეთი მასობრივი ამანათრბენი პირველად მოეწყო მილიციის თანამშრომელთა შორის.



# მალე სეზონიც გაიხსნება

**ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ** ოსეთში ქართულ ჭიდაობას უამრავი თაყვანისმცემელი ჰყავს. უკანასკნელ ხანს აქ ბევრი რამ გაკეთდა ამ ძველი ეროვნული სპორტული სახეობის აღორძინებისათვის. ადრეული გაზაფხულიდან გვიან შემოდგომამდე ყოველ კვირა საღამოს დოლზურნის ჰანგები უამრავ ცხინვალელს იზიდავს საჭიდაო არენისაკენ — ეწყობა ქართული ჭიდაობის საღამოები.

რამდენიმე დღის წინ სამხრეთ ოსეთის პირადგუნდურ პირველობას ქართულ ჭიდაობაში პროფკავშირთა ნებაყოფლობითი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების საჭიდაო დარბაზი მასპინძლობდა. შეჯიბრება ხალიჩაზე გაიმართა, რამაც ერთგვარად ჩვეული კოლორიტი დაუკარგა მას. მოჭიდავეებიც თითქოს ძველებურად ველარ ჩაუქობდნენ. და მაინც, აქაც, ხალიჩაზეც, ყველა გააოცა პირველობის ყველაზე ნორჩი მონაწილის ა. ოთინაშვილის ჭიდაობის, მისი ასაკისთვის მეტად უჩვეულო, დახვეწილმა მანერამ. მას დიდ წარმატებებს უწინასწარმეტყველებენ.

წონების მიხედვით საუკეთესონი იყვნენ ა. ოთინაშვილი, ა. ბიაზროვი, ო. ქუძიევი, ი. ქელეხსაევი, ჰ. თუაევი, გ. გაბულოვი, ჩ. ბედოევი, ვ. ჩარიგოგდიშვილი და ა. გიკაშვილი.

შეჯიბრებაში სულ 5 გუნდი მონაწილეობდა. მათ შორის ადგილები ასე განაწილდა: 1. ცხინვალის რაიონი (მწვრთნელი თ. ტურიევი); 2. ზნაურის რაიონი; 3. ქ. ცხინვალი; 4. ლენინგორის რაიონი; 5. ჯავის რაიონი.

**ᲚᲔᲘᲚᲐ ᲮᲣᲑᲔᲚᲘᲐᲜᲘ,**
„ლელოს“ საკ. კორესპონდენტი.
ცხინვალი.

# ორი დღე ლაშქრობაში

**ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ** კონსტიტუციის დღეს მიეძღვნა მასობრივ-გამაჯანსაღებელი ლაშქრობა, რომელიც თბილისის კალინინის სპორტკომიტეტმა (თავმჯდომარე ჯუდუ ქამუშაძე) მოაწყო.

ლაშქრობის მარშრუტი გახლდათ: მთაწმინდის პარკის ქვედა სადგური — ჭონქაძის ქუჩა — მთაწმინდის პანთეონი — სტალინის სახელობის პარკი. კვირას ლაშქრობაში მონაწილეობდნენ რაიონის წარმოება-დაწესებულებათა ფიზკულტურელები (150-მდე მონაწილე), გუშინწინ კი გზას გაუდგნენ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა (რაიონის 14-ე სკოლა), მოსე თოიძისა და იაკობ ნიკოლაძის სასწავლებლების მოსწავლეები — ოთხასამდე მონაწილე.

„ლელოს“ კორ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## თვის მონაგარი

# სპორტსმენებმაც, გულშემატკივრებმაც...

(დასასრული)

გობეჯიშვილის წარმატება სპორტული სეზონის მთავარი მოვლენის — ოლიმპიური თამაშების — დაწყებამდე ექვსი თვით ადრე ფრიად სერიოზული განაცხადია, მაგრამ ეს გამარჯვება, რა თქმა უნდა, დამშვიდების საბაბს არ უნდა აძლევდეს სპორტსმენს.

ოლიმპიური თამაშებისთვის მზადების ერთ-ერთი ძალზე მნიშვნელოვანი ეტაპი გახლდათ გფრ-ის ქალაქ ნოისეში გამართული თავისუფალი და კლასიკური სტილის მოჭიდავეთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც მსოფლიოსა და ევროპის მრავალი ჩემპიონი თუ პრიზიორი მონაწილეობდა.

„კლასიკოსთა" ტურნირში, სხვებთან ერთად, საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე თბილისელი გურამ გედეხაურიც (100) ავიდა. ასეთსავე წარმატებას მიაღწია თბილისელმა თავისუფალი სტილის მოჭიდავე ლერი ხაბელოვმაც (100 კგ).

თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა კიდევ ერთი საერთაშორისო ტურნირი მოსკოვშიც გაიმართა. აქ თავი მოიყარეს ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის ყოფილი ვიცე-პრეზიდენტის ალექსეი კატულინის ხსოვნისადმი მიძღვნილი პირველი საერთაშორისო ტურნირის მონაწილეებმა. ამ შეჯიბრებაში ჩვენი რესპუბლიკიდან ექვსი სპორტსმენი გამოდიოდა და ხუთი მათგანი პრიზიორი გახდა. დიდი წარმატებით იასპარეზა ქუთაისელმა გია ჩაკვეტაძემ (82), რომელმაც ყველა შეხვედრა მოიგო. მეორე პრიზიორები გახდნენ თბილისელები გელა პაპაშვილი (48), რამაზ გადაბაძე (90) და კარო ყახიანი, ხოლო მესამე იყო ასევე თბილისელი კობა ოჩიგავა (74).

გფრ-ის ქალაქ რუსელშაიმში გამართულ დიდ საერთაშორისო ტურნირში ცალკე გუნდად გამოსვლის პატივი საქართველოს ძიუდოისტებს მიანდეს. აქ მართლაც რომ ბრწყინვალედ იასპარეზა თბილისელმა ლერი ნაკანმა (78), რომელმაც მრავალი ტიტულიანი ძიუდოისტი, მათ შორის ოლიმპიური ჩემპიონები და მსოფლიო ჩემპიონატების პრიზიორები ერთმანეთის მიყოლებით პირწმინდად დაამარცხა.

ამ შეჯიბრებაში მესამე ადგილი დაიკავა გორელმა გია თენაძემ (72). ამის შემდეგ თენაძემ გდრ-ში გამართულ ასევე დიდ საერთაშორისო ტურნირში იასპარეზა და ყველას აჯობა.

შეგახსენებთ, რომ თენაძე აღმოჩნდა ორიდან ერთ-ერთი ის საბჭოთა ათლეტი, რომელმაც პირველი ადგილი დაიკავა.

ბუდაპეშტში „ა" კლასის ძიუდოისტთა საერთაშორისო ტურნირზე თბილისელმა ავთანდილ გუბელაძემ მძიმე წონის ათლეტთა ტურნირში ყველას აჯობა.

თავიანთ უფროს კოლეგებს არც ახალგაზრდა ძიუდოისტები ჩამორჩნენ. კიშინიოვში გამართულ ახალგაზრდა ძიუდოისტთა საკავშირო პირველობაზე, რომელშიც სპორტსაზოგადოებებისა და უწყებების კოლექტივები გამოდიოდნენ, ჩვენმა სპორტსმენებმა არაოფიციალურ გუნდურ პირველობაში ყველას აჯობეს. პირად პირველობაში 36 მედლიდან 15 მათ დაისაკუთრეს. ხუთი ჩვენი სპორტსმენი ოქროს მედლის მფლობელი გახდა.

ჩვენს ძიუდოისტებს რომ კარგი ცვლა ეზრდებათ, ეს დაადასტურა მოსწავლე ძიუდოისტთა თბილისის საერთაშორისო ტურნირმა, სადაც 9 გათამაშებული ოქროს მედლიდან 5 ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა მოიპოვეს. ამას გარდა, მათ 3 ვერცხლისა და 8 ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრეს.

მოჭიდავეებზე საუბარი გვინდა დავასრულოთ ახალგაზრდა „კლასიკოსთა" წარმატებებით.

ქუთაისელმა გიორგი კოლუაშვილმა (90) ყველას აჯობა ბულგარეთში გამართულ ახალგაზრდა კლასიკური სტილის მოჭიდავეთა საერთაშორისო ტურნირში.

ბორჯომელმა პაატა ტეტუნაშვილმა (58) და თბილისელმა ჯონი ხუბაშვილმა (97) მეორე ადგილები დაიკავეს ჭაბუკთა საკავშირო პირველობაზე.

**ახლა** კვლავ უფროსთა შეჯიბრებებს დავუბრუნდეთ. სეულის ოლიმპიადისწინა ერთგვარი გენერალური რეპეტიცია ჰქონდათ მოკრივეებსაც, რომლებიც გდრ-ის ქალაქ ჰალეში დიდ საერთაშორისო ტურნირზე გამოდიოდნენ. ამ შეჯიბრებაში, როგორც წესი, მსოფლიოს საუკეთესო მოკრივეები ასპარეზობენ და „ა" კლასის რანგი აქვს მინიჭებული. ამიტომ ამ შეჯიბრებაში გამარჯვება ფრიად პრესტიჟულად ითვლება. სასიამოვნოა, რომ ამ რანგის ტურნირში გამარჯვება არავის დაუთმო თბილისელმა რუდიკ კაზანჯიანმა (48), რომელმაც ბევრი ცნობილი მოკრივე დაამარცხა.

**მარტში** დიდი საერთაშორისო ტურნირი ჰქონდათ მესტენდურებსაც, რომლებიც აია-ნაპაში (კვიპროსი) ასპარეზობდნენ. სარბიელზე 12 ქვეყნის წარმომადგენლები გამოდიოდნენ. „კვიპროსის დიდი პრიზის" გათამაშებაში ჩვენი ქვეყნის მესტენდურთა პრესტიჟის დაცვა საქართველოს წარმომადგენლებს მიანდეს და მათაც გვასახელეს.

დიდ საერთაშორისო შეჯიბრებაში თბილისელი თამაზ იმნაიშვილის გამარჯვებებს დიდი ხანია მივეჩვიეთ და არც ახლა გაგვკვირვებია, რომ კვიპროსში, მრგვალ სტენდზე სროლაში, ყველა მეტოქე დაჯაბნა, თანაც დიდი უპირატესობით გაიმარჯვა.

აი, სასანგრო სტენდზე სროლაში თბილისელი ვეტერანის ზურაბ მაჩხანელის მესამე ადგილი კი სასიამოვნო სიურპრიზია, რადგან წარსულში ამ შესანიშნავ სპორტსმენს რამდენიმე წელია შეჯიბრებაში მონაწილეობა არ მიუღია.

**ხუთშიდში** დიდად პოპულარულმა სან-ანტონიოს (აშშ) თასის გათამაშებამ თავი მოუყარა 14 ქვეყნის წარმომადგენლებს, რომელთა შორის უძლიერესი იყო თბილისელი ვახტანგ იაგორაშვილი. ამასთან, იაგორაშვილმა თავის მოსკოველ თანაგუნდელებთან ერთად გუნდურ პირველობაში გამარჯვებისთვის სან-ანტონიოს თასიც მოიპოვა.

**ასევე** დიდად პოპულარული შეჯიბრებაა როსტოკის (გდრ) საერთაშორისო ტურნირი წყალში ხტომაში, რომელიც წლეულს 38-ედ ჩატარდა. წლევანდელი შეჯიბრებისადმი ინტერესი ერთი-ორად გაზარდა იმანაც, რომ ასპარეზობაში სხვებთან ერთად წყალში ხტომაში მოდის კანონმდებელი ოთხივე ქვეყნის: აშშ-ის, ჩინეთის, გდრ-ისა და სსრ კავშირის წარმომადგენლები გამოდიოდნენ. რა თქმა უნდა, ძალზე სასიხარულოა, რომ ამ „გიგანტთა" ასპარეზობაში თბილისელმა გიორგი ჩოგოვაძემ კოშკიდან ხტომაში ყველას აჯობა.

ახლა საკავშირო ჩემპიონატებში ჩვენი სპორტსმენების მონაგარიც გავიხსენოთ.

**ნიკოლაევში**, აკრობატთა საკავშირო ჩემპიონატის ჯგუფურ ვარჯიშში ოქროს მედლები მოიპოვეს თბილისელებმა ნატალია ანისიმოვამ, ინგა გიორგობიანმა და სვეტლანა მაკარიჩევამ. ამავე სახეობაში ვაჟთა შეჯიბრებაში ვერცხლის მედლები წილად ხვდათ ასევე თბილისელებს ემზარ აბუაშვილს, ვაჟა არაყიშვილსა და დიმიტრი კარტოზიას.

**საკავშირო** ჩემპიონატში ვერცხლის მედალი მოიპოვა თბილისელმა ჩოგბურთელმა ლეილა მესხმა (ერთეულთა თანრიგში), რომელმაც ამ წარმატებას მოსკოვში გამართულ შეჯიბრებაში მიაღწია.

**თბილისელი** ძალოსანი კახაბერ კახიაშვილი პერვოურალსკში ახალგაზრდა ძალოსანთა საკავშირო შეჯიბრებაში გამოდიოდა და ყველას აჯობა. ამასთან, მან პირველად შეასრულა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ნორმატივი.

**ხმლით** მოფარიკავეთა საკავშირო თასის გათამაშებაში, რომელიც ფრუნზეში ჩატარდა, თბილისელმა აკაკი მახარაძემ მეორე ადგილი დაიკავა.

მარტში იყო სხვა წარმატებებიც, მაგრამ ტრადიციისამებრ გულშემატკივრებს მეტნაკლებად მნიშვნელოვანი მონაგარი შევახსენეთ.

**და** ბოლოს, რამდენიმე სიტყვა თავად გულშემატკივართა ერთ ჯგუფზე. ალბათ მიხვდით, საუბარია თბილისის „დინამოს" ფეხბურთელთა გულშემატკივრების გუნდზე, რომელმაც არანაკლები სიხარული მოგვიტანა. ამ გუნდმა, რომელიც ვერისა და საბურთალოს გულშემატკივარი ფეხბურთელებით იყო დაკომპლექტებული, მოსკოვში გამართულ მინიფეხბურთელთა პირველ საკავშირო პირველობაზე ყველას აჯობა.

აი, გაზაფხულის პირველ თვეს ასე გაგვახარეს ჩვენმა სპორტსმენებმა და გულშემატკივრებმაც.

## თბილისის უბნების ჩემპიონატი კალათბურთში

# ფინალი: „ვერა" — „ვაკე"

**დასასრულს უახლოვდება თბილისის უბნების კალათბურთელთა I ჩემპიონატი კომკავშირის თბილისის საქალაქო კომიტეტის პრიზზე.**

მ. კეკელიძის სახელობის ბავშვთა კალათბურთის სასახლეში გაიმართა ნახევარფინალური შეხვედრები. პირველ მატჩში ერთმანეთს ვაკისა და დიდუბის წარმომადგენლები შეხვდნენ. ვაკელებმა გუნდის ლიდერის, წარსულში თბილისის „დინამოს" ყოფილი კაპიტნის თ. ჩიხლაძის კარგი თამაშის წყალობით შეძლეს გამარჯვების მოპოვება — 58:52 და პირველი ფინალისტის ვინაობაც გაირკვა.

მეორე ნახევარფინალში ვერელთა მეტოქე საბურთალოს ძლიერი გუნდი იყო. დაძაბულ ბრძოლაში უპირატესობას ვერელები ფლობდნენ და მათ გაიმარჯვეს კიდეც — 55:53. ანგარიშიც კარგად ასახავს ძალთა თანაფარდობას. ვერელთაგან გამოირჩეოდნენ საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი გ. ბიჭიაშვილი და სპორტის ოსტატი ზ. ბახტურიძე.

14 აპრილს თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართება მატჩი III-IV ადგილებისთვის, ერთმანეთის პირისპირ დიდუბისა და საბურთალოს გუნდები წარსდგებიან. შეხვედრა 14 საათზე დაიწყება, ფინალური მატჩი ვერისა და ვაკის გუნდებს შორის კი — 15 საათზე.



## საქართველოს პირველობა

განვლილ შაბათ-კვირას გაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის III ტურის შეხვედრები. გთავაზობთ მათ ტექნიკურ შედეგებს.

### I ჯგუფი

„მაღაროელი" (ჭიათურა) — „ქართლი" (გორის რ-ნი) 3:1. მსაჯი ზ. ჯინჭარაძე (მახარაძე).

„შადრევანი" (წყალტუბო) — „არმაზი" (მცხეთა) 1:0. მსაჯი ნ. კილაძე (თბილისი). გოლი: გვაძაბია („შადრევანი").

„დინამო" (გაგრა) — „სამეგრელო" (ჩხოროწყუ) 1:0. მსაჯი თ. ლაცაბიძე (თბილისი). გოლი: ბოსტანჯიანი („დინამო").

„ეგრისი" (ცხაკაია) — „დურუჯი" (ყვარელი) 1:1. მსაჯი რ. ტალიაშვილი (თბილისი). გოლები: ბელოევი („დურუჯი"), ჩიქობავა („ეგრისი").

„სალხინო" (გეგეჭკორი) — „ბახტრიონი" (ახმეტა) 2:0. მსაჯი ვ. ხეჩოიანი (თბილისი). გოლები: მონიავა, მურვანიძე („სალხინო").

„სქური" (წალენჯიხა) — „ივერია" (ხაშური) 1:3. მსაჯი ი. კანდელაკი (თბილისი). გოლები: ხარაზიშვილი, ტიტვინიძე-2 („ივერია"), ანთიძე („სქური").

„ამირანი" (ოჩამჩირე) — „მეშახტე" (ტყიბული) 2:0. მსაჯი ა. კოკაია (თბილისი). გოლები: ქობალია, როსტობაია („ამირანი").

„კოლხეთი" (ხობი) — „მეტალურგი" (ზესტაფონი) 1:0. მსაჯი უ. ფურცელაძე (თბილისი). გოლი: კაციტაძე („კოლხეთი").

ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „სპარტაკი" (ცხინვალი) 2:2. მსაჯი ე. გვარამაძე (რუსთავი). გოლები: მებუკე-2 (ფიზკ. ინსტ.), ჩოჩიევი, ხუბეჯიშვილი („სპარტაკი").

„მადნეული" (ბოლნისი) — „საპოვნელა" (თერჯოლა) — 1:0. მსაჯი თ. სადილიანი (თბილისი). გოლი: ბეს. უგულავა („მადნეული").

„დინამო" (ზუგდიდი) — „სულორი" (ვანი) 0:0. მსაჯი რ. ტალიაშვილი (თბილისი).

აღვნიშნავთ, რომ განვლილ ტურის მატჩებში არავის დაურღვევია დისციპლინა.

### გათამაშების ცხრილი

#### I ჯგუფი

მდგომარეობა 7 აპრილისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „მადნეული" | 3 | 3 | 0 | 0 | 6-0 | 6 |
| „კოლხეთი" | 3 | 3 | 0 | 0 | 6-2 | 6 |
| „შადრევ." | 3 | 2 | 1 | 0 | 3-0 | 5 |
| „ამირანი" | 3 | 2 | 0 | 1 | 7-2 | 4 |
| „დინამო" ზ. | 3 | 1 | 2 | 0 | 5-2 | 4 |
| „დურუჯი" | 3 | 1 | 2 | 0 | 4-3 | 4 |
| „სულორი" | 3 | 1 | 2 | 0 | 2-1 | 4 |
| „დინამო" გ. | 3 | 2 | 0 | 1 | 2-2 | 4 |
| „სალხინო" | 3 | 1 | 1 | 1 | 5-4 | 3 |
| ფიზკ. ინსტ. | 3 | 1 | 1 | 1 | 4-3 | 3 |
| „ეგრისი" | 3 | 1 | 1 | 1 | 5-[illegible] | 3 |
| „სამეგრელო" | 3 | 1 | 1 | 1 | 4-4 | 3 |
| „მაღაროელი" | 3 | 1 | 1 | 1 | 4-4 | 3 |
| „ბახტრიონი" | 3 | 1 | 1 | 1 | 1-2 | 3 |
| „მეტალურგი" | 3 | 1 | 0 | 2 | 3-3 | 2 |
| „არმაზი" | 3 | 1 | 0 | 2 | 4-5 | 2 |
| „სქური" | 3 | 0 | 2 | 1 | 1-3 | 2 |
| „ივერია" | 3 | 1 | 0 | 2 | 3-7 | 2 |
| „საპოვნელა" | 3 | 0 | 1 | 2 | 1-3 | 1 |
| „სპარტაკი" | 3 | 0 | 1 | 2 | 3-7 | 1 |
| „ქართლი" | 3 | 0 | 1 | 2 | 1-7 | 1 |
| „მეშახტე" | 3 | 0 | 0 | 3 | 0-5 | 0 |

### მეორე ჯგუფი

#### I ტური

##### აღმოსავლეთი ქვეჯგუფი

ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლა (თბილისი) — „კახეთი" (თელავი) 1:2, „არაგვი" (დუშეთი) — „ფოსტამტი" (თბ.) 2:0, „აბული" (ახალქალაქი) — „ჰერეთი" (ლაგოდეხი) 1:0, „სამგორი" (გარდაბანი) — „ალგეთი" (მარნეული) 1:2, „თორი" (ბორჯომი) — სპი-„დინამო"-3 (თბ.) 1:0, „იმედი"-„დინამო"-2 (თბ.) — „მეფრინველე" (კასპი) 0:1, უნივერსიტეტი (თბილისი) — „მესხეთი" (ახალციხე) 3:2, „მეტალისტი" (რუსთავი) — „თრიალეთი" (წალკა) 4:1, სასწავლო-საცდელი მეურნეობა (მუხრანი) — „ვარძია" (ასპინძა) 2:1.

##### დასავლეთი ქვეჯგუფი

„საირმე" (მაიაკოვსკი) — „მზიური" (გალი) 1:1, „დვაბზუ" (მახარაძე) — „მამისონი" (ონი) 4:2, „ნარინჯი" (ქობულეთი) — „ჩხერიმელა" (ორჯონიკიძე) 3:0, „ბახმარო" (ჩოხატაური) — „იმერეთი" (წულუკიძე) 2:1, პოლიტექნიკური ინსტიტუტი (ქუთაისი) — „ოდიში" (ზუგდიდის რ-ნი) 3:0, „კოლხეთი"-2 (ფოთი) — „ქიმიკოსი" (ამბროლაური) 3:0, „ჩიბათი" (ლანჩხუთი) — ხდკ (სამტრედია) 3:0.

### მესამე ჯგუფი

##### აღმოსავლეთი ქვეჯგუფი

პირველი წრე, პირველი ტური

„მეტალურგი-2" (რუსთავი) — „განთიადი" (დმანისი) 3:1, „ალაზანი" (გურჯაანი) — „მარაბდა" (კოდა, თეთრი წყაროს რ-ნი) 1:0, „გარეჯი" (საგარეჯო) — „კოლმეურნე" (მარნეულის რ-ნი) 1:0, „ვარდისუბანი" (ლაგოდეხის რ-ნი)—„გარისი" (თეთრი წყარო) 1:0, „თუშეთი" (ქვემო ალვანი) — „სპი" (თბილისი) 3:1, „მიონი"-35 (თბილისი) — „ნაფარეული" (თელავის რ-ნი) 2:0, „შირაქი" (წითელწყარო) — „სინათლე" სპორტინტერნატი (თბილისი) 2:0.

##### ცენტრალური ქვეჯგუფი

„ავტომობილისტი" (გორი) — „მეშაქრე" (აგარა) 2:1, „ჭოგნარი" (თერჯოლის რ-ნი) — „ლიახვი" (ცხინვალის რ-ნი) 1:1, „ბაგიათი" (ჯავა) — „იბერია" (ქარელი) 0:0, „ცენტრმეტალურგმშენი" (ზესტაფონი) — „მეავეჯე" (ახალდაბა) 1:1, „ფარვანა" (ბოგდანოვკა) — „ხვამლი" (ცაგერი) 3:0, „მშენებელი" (ჭიათურა) — „ორპირი" (ოკრიბა, ტყიბული) 1:0, „ქვემოჭალა" (კასპი) — „ფეიქარი" (ხაშური) 1:3.

##### დასავლეთი ქვეჯგუფი

„კახაბერი" (ხელვაჩაური) — „ახალსოფელი" (ზუგდიდის რ-ნი) 1:1, „ავტომობილისტი" (ბათუმი) — „ზანა" (აბაშა) 0:0, „განთიადი" (ცხაკაია) — „სპარტაკი" (ბათუმი) 1:1, „შახტიორი" (ტყვარჩელი) — „მელექედური" (მახარაძის რ-ნი) 2:1.

### მსაჯთა რეესტრი

#### IV ტური

**9 აპრილი**

„საპოვნელა" (თერჯოლა) — „დინამო" (გაგრა). ვ. ეჯიბია, ნ. ბიძინაშვილი, რ. ვერულაშვილი.

„მეშახტე" (ტყიბული) — „მეტალურგი" (ზესტაფონი). ს. კვარაცხელია, გ. კალანდია, რ. ფარცვანია.

„სამეგრელო" (ჩხოროწყუ) — „არმაზი" (მცხეთა). ი. შალამბერიძე, ნ. კილაძე, დ. გაგნიძე.

„დურუჯი" (ყვარელი) — „ქართლი" (გორის რ-ნი). მ. მალაღურაძე, თ. ლორთქიფანიძე, ო. გუნთაძე.

„ივერია" (ხაშური) — „ამირანი" (ოჩამჩირე). გ. სეფიაშვილი, მ. ჭელიძე, ა. შილაკაძე.

**10 აპრილი**

„ბახტრიონი" (ახმეტა) — „შადრევანი" (წყალტუბო). თ. ლორთქიფანიძე, მ. მალაღურაძე, ო. გუნთაძე.

„სპარტაკი" (ცხინვალი) — „კოლხეთი" (ხობი). მ. ჭელიძე, ა. შილაკაძე, გ. სეფიაშვილი.

„მაღაროელი" (ჭიათურა) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი). გ. გაბისკირია, ო. გაგუა, ფ. ტოროსიანი.

„სულორი" (ვანი) — „ეგრისი" (ცხაკაია). ს. პრავოვი, რ. ჩიქოვანი, ა. ამიჩბა.

„დინამო" (ზუგდიდი) — „სალხინო" (გეგეჭკორი). თ. კოკაია, ი. გობრონიძე, ნ. წულუკიძე.

„მადნეული" (ბოლნისი) — „სქური" (წალენჯიხა). ჯ. წერეთელი, ე. გვარამაძე, ა. ბეჟუაშვილი.

**გუნდების ხელმძღვანელთა საყურადღებოდ:** გუნდების შემადგენლობის შესავსებად დამატებითი განაცხადების წარმოდგენის დღედ დადგენილია ყოველი კვირის ხუთშაბათი. სხვა დღეებში დამატებითი განაცხადები არ მიიღება.

## კალათბურთი — საქართველოს ვაჟთა ჩემპიონატი

# დინამოელები ათეულებში

**კალათბურთის** მოყვარულებს ყველაფერი აინტერესებთ: ვინ როგორ ისვრის კალათში, ვინ არის საჯარიმოების საუკეთესო შემსრულებელი, ვინ როგორ თამაშობს დაცვაში, შეტევაში და ა. შ. სწორედ ეს მონაცემები გაითვალისწინეს საკავშირო კატეგორიის მსაჯებმა ლ. ჩუდინმა და ვ. ტიტორენკომ, როცა 1987-1988 წლების სეზონის საუკეთესო კალათბურთელთა ათეულებს ადგენდნენ.

ჩვენ მხოლოდ გამარჯვებულთა გვარებს გთავაზობთ, აგრეთვე თბილისის „დინამოს“ წევრებს, რომლებიც ათეულებში მოხვდნენ.

**საუკეთესო ბომბარდირები.** 1. ა. ბელოსტენი („სტროიტელი“ კიევი) — 500 ქულა (24 თამაშში, ერთ მატჩში საშუალოდ 20,8 ქულა... 8. გ. დარსაძე („დინამო“, თბილისი) — 581 ქულა (35 მატჩი), საშუალოდ 16,6 ქულა.

**სროლები თამაშიდან.** 1. ა. ბელოსტენი — 306 სროლა (188 ზუსტი) 61,4 პროცენტი... 5. ა. ოპოშნიანი — 245 სროლა (141 ზუსტი) 57,6 პროცენტი.

**სამქულიანი სროლები.** 1. გ. ბაჩანსკასი („სტატიბა“) — 139 სროლა (66 ზუსტი) 47,5 პროცენტი... 8. გ. დარსაძე — 275 სროლა (107 ზუსტი) 38,9 პროცენტი.

**საჯარიმო სროლები.** 1. ი. შიშკოვი „დინამო“ (მოსკოვი) — 113 სროლა (101 ზუსტი), 89,4 პროცენტი... 9. ა. ოპოშნიანი — 143 სროლა (107 ზუსტი) 74,8 პროცენტი.

**ფარიდან ახსლეტილი ბურთები.** 1. ა. ბელოსტენი — 24 მატჩში 252-ჯერ დაეუფლა... 7. ა. ოპოშნიანი — 37 მატჩში 261-ჯერ დაეუფლა.

**შედეგიანი გადაცემები.** 1. ვ. ვალტერსი (ვეფ, რიგა) 98 გადაცემა, 29 შედეგიანი... 4. გ. კაპუსტინი — 89 გადაცემა, 32 შედეგიანი.

**ბურთის ჩაჭრა.** 1. ა. სატიროვი (რტი, მინსკი), — 90 ცდა, 33 შედეგიანი... 5. გ. დარსაძე — 69 ცდა, 35 შედეგიანი.



# მხოლოდ ტექნიკური შედეგები

გთავაზობთ კალათბურთელ ვაჟთა რესპუბლიკური ჩემპიონატის მორიგი ტურის შეხვედრათა შედეგებს.

**2 აპრილი. ქუთაისი — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 70:63 (38:32).**

**ქუთაისი:** ვაშაკიძე (29), დარსაძე (13), ხუჯაძე (10), გოქსაძე (10), ხაზულიანი (8).

**ფიზკულტურის ინსტიტუტი:** ტომარაძე (13), ლიპარტელიანი (12), ჩერქეზიშვილი (11), ფერიაშვილი (10), კობეშავიძე (9), უძილაური (4), შავლოხოვი (4).

**3 აპრილი. ქუთაისი — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 71:70 (25:48).**

**ქუთაისი:** დარსაძე (25), ვაშაკიძე (13), ანდღულაძე (12), ხუჯაძე (10), აფრიდონიძე (8), დოლაბერიძე (2), გოქსაძე (1).

**ფიზკულტურის ინსტიტუტი:** ფერიაშვილი (32), ტომარაძე (14), კობეშავიძე (12), ჩერქეზიშვილი (9), შავლოხოვი (2), ლიპარტელიანი (1).

**2 აპრილი. ბათუმი — გორი 66:50 (27:17)).**

**ბათუმი:** მ. ემირიძე (23), შევცოვი (13), ქლენტი (9), შერვაშიძე (7), ზოიძე (6), დიხამიძე (5), ინაიშვილი (3).

**გორი:** ჯოლბორდი (20), კორძაია (18), დარგუაშვილი (5), ბერიშვილი (4)), ჩუბუკინი (3).

**3 აპრილი. ბათუმი — გორი 78:56 (48:19).**

**ბათუმი:** მ. ემირიძე (27), შერვაშიძე (16), დიხამიძე (13), ზოიძე (11), ქლენტი (7), შევცოვი (2), დუმბაძე (2).

**გორი:** ღლონტი (27), ჯოლბორდი (10), კორძაია (8), დარგუაშვილი (5), ცაგარეიშვილი (5), ჩხეტიანი (1).

**2 აპრილი. რუსთავი — თელავი 89:45 (41:24).**

**რუსთავი:** მიქიაშვილი (16), კეჰაყმაძე (14), ქობულაძე (10), ჰეიშვილი (10), ჰანტურიძე (9), აბზიანიძე (8), კერესელიძე (8), მებურიშვილი (5), კიკვიძე (5), ხაიაური (4).

**თელავი:** მესტვირიშვილი (16), ვარდიაშვილი (12), ჯაფარიძე (5), წიქარიშვილი (5), მუშკუდიანი (4), ჯიქიშვილი (3).

**3 აპრილი. რუსთავი — თელავი 116:44 (51:19).**

**რუსთავი:** ჰანტურიძე (31), აბზიანიძე (19), კერესელიძე (15), მიქიაშვილი (14), ბარამიძე (10), ხაიაური (9), ქობულაძე (8), მებურიშვილი (4), კიკვიძე (2), ჰეიშვილი (2), კეჰაყმაძე (2).

**თელავი:** ვარდიაშვილი (32), ბეიშვილი (4), ჯიქიშვილი (3), ჯოხარიძე (3), წიქარიშვილი (2).

**4 აპრილი. სოხუმი — პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი) 96:93 (52:43).**

**სოხუმი:** პირველი (22), სულავა (17), ჰითავა (15), სუშჩენკო (15), ჩუბინიძე (14), ჯგერენაია (13).

**პოლიტექნიკური ინსტიტუტი:** გიორგობიანი (28), სანაძე (26), გეგეშიძე (16), ორმოცაძე (11), გაბრიჩიძე (6), ვაშაკიძე (4), კოტრიკაძე (2).

**5 აპრილი. სოხუმი — პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი) 78:111 (36:51).**

**სოხუმი:** ჰითავა (24), სულავა (23), ჯგერენაია (9), ჩუბინიძე (8), სუშჩენკო (6), პირველი (4), ქვილითაია (4).

**პოლიტექნიკური ინსტიტუტი:** ვაშაკიძე (26), გიორგობიანი (18), გაბრიჩიძე (15), გეგეშიძე (13), სანაძე (10), გოგელია (10), პეტრიაშვილი (10), ორმოცაძე (7), ცხვედიანი (2).

# რვა ტურის შემდეგ

**კალათბურთელ** ვაჟთა რესპუბლიკურ ჩემპიონატზე ჯერ მხოლოდ რვა ტური გათამაშდა, მაგრამ უკვე გამოიკვეთა ლიდერთა ჯგუფი და ის გუნდები, რომლებიც საპრიზო ადგილებზე პრეტენზიას არ აცხადებენ. თუმცა ჯერ კატეგორიული აზრის გამოტანა ნაადრევია. ქვემოთ მოყვანილი სატურნირო ცხრილები ნათელ წარმოდგენას გვიქმნის გუნდების შესაძლებლობებსა და მათ დღევანდელ მდგომარეობაზე.

### პირველი ჯგუფი

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| უნივერ. (თბ.) | 8 | 7 | 1 | 809-612 | 15 |
| ქუთაისი | 8 | 7 | 1 | 691-595 | 15 |
| ფიზ. ინს. (თბ.) | 8 | 6 | 2 | 802-592 | 14 |
| ბათუმი | 8 | 4 | 4 | 582-675 | 12 |
| გორი | 8 | 0 | 8 | 570-718 | 8 |
| „დინ.“ (თბ.) | 8 | 0 | 8 | 648-915 | 8 |

### მეორე ჯგუფი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| „სინათლე“ (თბ.) | 8 | 7 | 1 | 877-748 | 15 |
| სოხუმი | 8 | 5 | 3 | 778-776 | 13 |
| სპი (თბ.) | 6 | 5 | 1 | 665-539 | 11 |
| რუსთავი | 6 | 3 | 3 | 574-531 | 9 |
| თელავი | 8 | 0 | 8 | 611-869 | 8 |
| „მართვე“ (თბ.) | 4 | 0 | 4 | 344-381 | 4 |

# დაუმარცხებლად

**არსებითი** ცვლილებები არ მომხდარა ჭაბუკ კალათბურთელთა რესპუბლიკურ ტურნირზეც. აბსოლუტურად საუკეთესო შედეგი აქვს თბილისის „დინამოს“, რომელიც პირველ ჯგუფში ასპარეზობს და ჯერჯერობით არც ერთი ბრძოლა არ წაუგია.

### პირველი ჯგუფი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| „დინ.“ (თბ.) | 8 | 8 | 0 | 688-455 | 16 |
| ბათუმი | 8 | 5 | 3 | 515-409 | 13 |
| გორი | 8 | 5 | 3 | 452-472 | 13 |
| ქუთაისი | 8 | 4 | 4 | 476-483 | 12 |
| უნივერ. (თბ.) | 8 | 2 | 6 | 455-528 | 10 |
| ფიზკ. ინს. (თბ.) | 8 | 0 | 8 | 345-584 | 8 |

### მეორე ჯგუფი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| სპი (თბ.) | 6 | 5 | 1 | 482-436 | 11 |
| „მართვე“ (თბ.) | 6 | 5 | 1 | 497-336 | 11 |
| თელავი | 6 | 2 | 4 | 330-367 | 8 |
| „სინათლე“ (თბ.) | 6 | 2 | 4 | 369-392 | 8 |
| რუსთავი | 6 | 2 | 4 | 357-394 | 8 |
| სოხუმი | 2 | 0 | 2 | 70-180 | 2 |

# ავსტრალიელთა [illegible]

**უიმბლდონის** [illegible] ჩემპიონს პატ კეშს თხოვნით მიმართეს ეთამაშა დევისის თასის გათამაშების შემდეგ ეტაპზე საფრანგეთის ნაკრების წინააღმდეგ, რომელიც 8-10 აპრილს პარიზში გაიმართება. ავსტრალიელთა უძლიერესმა ჩოგბურთელმა უარი თქვა ამ წინადადებაზე, რადგან მისი მეუღლე, ნორვეგიელი ანა-ბრიტ კირსტიანსენი ზუსტად ამ პერიოდისთვის ელოდება მეორე ბავშვს.

მიუხედავად მტკიცე უარისა, ავსტრალიის ჩოგბურთის ოფიციალური პირნი იმედის თვალით უყურებენ უძლიერესი ჩოგბურთელის მატჩში მონაწილეობას.

ეროვნული ნაკრები დღესდღეობით ასეთი შემადგენლობით ვარჯიშობს: ფიცჯერალდი, ვუდფორდი, კეიპილი და მესერი. მათ წინააღმდეგ კი საფრანგეთის ნაკრები წარდგება თავისი უძლიერესი შემადგენლობით: ნოა, ლეკონტი, ფორტეტი და ტულასნა.

**ალექსანდრე ჯიბლაძე.**

## ეკრანზე და ეთერში

**ცენტრალური ტელევიზია. 7 აპრილი.** დილის ტანვარჯიში — **9.00 (2);** ოლიმპიური ტურნირის შესარჩევი მატჩი ფეხბურთში: სსრ კავშირი — თურქეთი (გადმოცემა სიმფეროპოლიდან) — **9.35 (1);** რიტმული ტანვარჯიში — **19.00 (2);** სსრ კავშირის ჩემპიონატი ჰოკეიში: „დინამო“ (მოსკოვი) — ცსკა **19.30 (2).**

**8 აპრილი.** დილის ტანვარჯიში — **9.00 (2);** სსრ კავშირის ჩემპიონატი ჰოკეიში: „კრილია სოვეტოვი“ — „სპარტაკი“ — **20.15;** სპორტული პროგრამა — **22.50 (2).**

**საქართველოს რადიო. 7 აპრილი.** სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში: I ლიგა — **22.00.**

რედაქტორის მოადგილე
**უ. ჭიჭინაძე.**



**ჩვენ** უკვე გაცნობეთ საქართველოს გუნდების რეგბისტთა XXV საკავშირო ჩემპიონატის პირველი ორი ტურის შედეგები. დღეს გთავაზობთ ამ ტურების დანარჩენი მატჩების შედეგებს: „ელექტრომაში“ (ტირასპოლი) — „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) 7:17, ასკ (ალმა-ათა) — ეტს (კრასნოიარსკი) 10:10, „ზვეზდა“ (ტაშკენტი) — „ელექტრონმაში“ (ლენინგრადი; ამ გუნდს ადრე „პრიმორეცი“ ერქვა) 19:0, „ავიატორი“ (კიევი) — „ფილი“ (მოსკოვი) 22:15, ასკ—„ელექტრონმაში“ 22:7, „ზვეზდა“ — ეტს 12:29, „ავიატორი“ — „ლოკომოტივი“ 6:9.

### გათამაშების ცხრილი

**მდგომარეობა 4 აპრილისთვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „მშენებელი“ | 2 | 2 | 0 | 0 | 6 | (0) |
| „ლოკომ.“ (მ.) | 2 | 2 | 0 | 0 | 6 | (0) |
| ასკ (ალმა-ათა) | 2 | 1 | 1 | 0 | 5 | (—1) |
| ეტს (კრასნ.) | 2 | 1 | 1 | 0 | 5 | (—1) |
| სხა (მონინო) | 2 | 1 | 0 | 1 | 4 | (—2) |
| „ავიატორი“ (კ.) | 2 | 1 | 0 | 1 | 4 | (—2) |
| „ელმავალი“ | 2 | 1 | 0 | 1 | 4 | (—2) |
| „ზვეზდა“ (ტაშკ.) | 2 | 1 | 0 | 1 | 4 | (—2) |
| „სლავა“ (მ.) | 2 | 0 | 0 | 2 | 2 | (—4) |
| „ელექტრ.“ (ლენ.) | 2 | 0 | 0 | 2 | 2 | (—4) |
| „ფილი“ (მ.) | 1 | 0 | 0 | 1 | 1 | (—2) |
| „ელექტრ.“ (ტირ.) | 1 | 0 | 0 | 1 | 1 | (—2) |

დღეს, მესამე ტურში, ქუთაისელები ლენინგრადელებს უმასპინძლებენ, თბილისელები კი — კრასნოიარსკელებს.

# დაწინაურდა სპილმენი

**მოჭადრაკე** ვაჟთა „მსოფლიო თასის“ გათამაშების I ეტაპზე, რომელსაც ბრიუსელი მასპინძლობს, გამოიკვეთა ახალი ლიდერი — ინგლისელი დიდოსტატი ჯონათან სპილმენი, რომელსაც 3 ქულა აქვს და ნახევარი ქულით უსწრებს „მდევართა“ დიდ ჯგუფს. ამ მოჭადრაკემ ლიდერის პოზიცია განიმტკიცა მას შემდეგ, რაც მას თამაშის განუახლებლად დანებდა საბჭოთა დიდოსტატი ანდრეი სოკოლოვი (II ტურის გადადებული პარტია).



**შაბათს, 9 აპრილს, თბილისის სახელმწიფო ცირკში გაიმართება ქართულ ჭიდაობაში საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პრიზზე ქალაქების უბნებსა და სოფლებს შორის რესპუბლიკური ასპარეზობის წინასწარი ეტაპის ბოლო ტური. ერთმანეთს ხვდებიან ლაგოდეხის რაიონის სოფელ აფენისა და წითელწყაროს რაიონის სოფელ ქვემო ქედის გუნდები, აგრეთვე თბილისისა და გორის ნაკრებები.**

**დასაწყისი 12 საათზე.**

## ინფორმაცია

**პეკინი.** მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა აშშ-ს ფრენბურთელ ვაჟთა გუნდმა სამი შეხვედრა ჩაატარა ჩინეთში და სამივე მოიგო — 3:0, 3:2 და 3:2.

**ბონი.** ქვემოსაქსონიის მრავალდღიანი ველორბოლის მეორე ეტაპი პოლონელმა ზბიგნევ სპრუხმა მოიგო. ორივე ეტაპის ჯამში ლიდერობს გდრ-ის ნაკრები და ამ გუნდის წარმომადგენელი სტეფენ ბოხვიტცი.



**თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი**

**(წერეთლის გამზირი № 2)**

10 აპრილი ⊙ ფეხბურთი ● სსრ კავშირის ჩემპიონატი

**„დინამო“ (თბილისი) — „დინამო“ (მოსკოვი)**

დასაწყისი 18 საათზე

მატჩზე დასასწრები და ლატარიის ბილეთები სტადიონის სალაროებში გაიყიდება 7 აპრილიდან, ხოლო ორგანიზაციებში — 7 და 8 აპრილს. სალაროები ღიაა 10-დან 19 საათამდე (შესვენება 14-15 საათამდე).

აბონემენტების მფლობელებს ლატარიის ბილეთების შეძენა შეუძლიათ № 7 სალაროში.

ამ გუნდების სათადარიგო შემადგენლობათა მატჩი გაიმართება 9 აპრილს.

დასაწყისი 18 საათზე

უამინდობის შემთხვევაში თამაში შედგება იმავე დროს „ლოკომოტივის“ სტადიონზე.

**„ლოკომოტივის“ სტადიონი ● (ილია ჭავჭავაძის გამზირი, 74)**

7 აპრილი ⊙ რეგბი ● საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი

**„ელმავალი“ (თბილისი) — ეტს (კრასნოიარსკი)**

დასაწყისი 18 საათზე.

**ჩვენი მისამართი:**
წერილებისთვის — 380096
თბილისი, ლენინის ქ. 14.
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“,

**რედაქციის ტელეფონები:**
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
„მერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.

**ჩვენი ინდექსი 66435**

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 10728